



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46 63

07/09/2015

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სამასალე მერქნის გადაცემა)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2015 წლის 17 ივნისს წერილობით მიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის „წმინდა გიორგის“ სახელობის ეკლესიის წინამძღვრმა დეკანოზმა მამა ამირან ქარქაშაძემ, ხოლო 2015 წლის 30 ივნისს სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს“ თავმჯდომარემ, რომლებიც ითხოვენ სოფელ ზედა სიმონეთის „წმინდა გიორგის“ სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციისათვის 5^მ სამასალე მერქანის გადაცემას. მუნიციპალიტეტის გამგეობას ასევე, 2015 წლის 25 აგვისტოს ერთობლივი განცხადებით მიმართა ქალაქ თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მცხოვრებმა მოქალაქეებმა, რომლებიც ითხოვენ ქალაქ თერჯოლაში მდებარე „გოფანმთის“ ეკლესიის რეაბილიტაციისათვის 10 მ³ სამასალე მერქანის გადაცემას.

ზემოაღნიშნული ეკლესიებისათვის დახმარების გაწევის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5მ³ სამასალე მერქანი გადაეცეს სოფელ ზედა სიმონეთის „წმინდა გიორგის“ სახელობის ეკლესიას, ხოლო 10მ³ სამასალე მერქანი ქალაქ თერჯოლაში მდებარე „გოფანმთის“ ეკლესიას.

მუხლი 2.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში აღნიშნული სამასალე მერქანის სოფელ ზედა სიმონეთის „წმინდა გიორგის“ სახელობის ეკლესიისათვის და ქალაქ თერჯოლაში მდებარე „გოფანმთის“ ეკლესიისათვის გადაცემა.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოფიო ბუსკივაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო